

Khatuna Tabatadze

ხათუნა ტაბატაძე

Georgian Technical University

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Existential Discourse of Russian Emigration in the 1920s-1930s

(B. Poplavsky, G. Gazdanov, A. Remizov)

რუსული ემიგრაციის ეგზისტენციალური დისკურსი 1920-30-იან წლებში

(ბ. პოპლავსკი, გ. გაზდანოვი, ა. რემიზოვი)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10914>

The Russian emigration of the 1920s–1930s gave rise to a distinct literary framework in which exile became a primary mode of existential inquiry. Separated from their homeland and confronted with political, cultural, and ontological rupture, émigré writers redefined exile as a condition that reshaped identity, memory, temporality, and metaphysical belonging. Exile was not merely a geographical displacement but a transformation of human existence that destabilized relationships between past and present, self and world, continuity and meaning.

Boris Poplavsky portrayed exile as metaphysical collapse. His protagonists inhabit liminal spaces between life and death, searching for meaning in a fragmented and indifferent reality. In his texts, Paris is not a refuge but a realm of spiritual disorientation. Through symbolic, dream-like, and visionary language, Poplavsky merges internal chaos with external dissolution, presenting exile as ontological disintegration.

Gaito Gazdanov interpreted exile as a crisis of memory and temporal rupture. His narrators exist retrospectively, constructing identity through recollection rather than lived presence.

Aleksei Remizov, by contrast, viewed exile as spiritual continuity, treating language as a vessel of cultural memory and depicting emigration as a path of inner transformation.

Together, these authors shaped an existential model of exile defined by inward displacement and the search for meaning beyond historical rupture.

Key words: Russian emigration, Existential discourse, Identity, Lost homeland, Inner reflection.

საკვანძო სიტყვები: რუსული ემიგრაცია, ეგზისტენციალური დისკურსი, იდენტობა, დაკარგული სამშობლო, შინაგანი რეფლექსია

რუსული ემიგრაციის პირველი ტალღის (1920-1930) ლიტერატურა წარმოადგენს უნიკალურ კულტურულ ფენომენს, სადაც მხატვრული შემოქმედება განუყოფელია დევნილობის ფილოსოფიური გამოცდილებისა და დაკარგული იდენტობის დრამისგან. ემიგრანტის პირადი კრიზისი გარდაისახება ადამიანური არსებობის ზღვრული ფორმების მხატვრულ გააზრებად, ხოლო მწერალი იქცევა „სასაზღვრო“ ყოფიერების მოწმედ და მკვლევრად. ამ პირობებში კანონზომიერად ყალიბდება სპეციფიკური ეგზისტენციალური დისკურსი, რომელიც აერთიანებს რუსული სულიერი ტრადიციებისა და ევროპული მოდერნიზმის ინტელექტუალურ იმპულსებს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ სამეცნიერო ინტერესს იწვევს ეგზისტენციალური მსოფლადქმის ანალიზი ბორის პოპლავსკის, გაიტო გაზდანოვის და ალექსეი რემიზოვის პროზაში, რომელთა შემოქმედება აყალიბებს „რუსული ეგზისტენციალიზმის“ ორიგინალურ მოდელს. მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მხატვრული აზროვნების საერთო კანონზომიერებანი და ინდივიდუ-

ალური სტრატეგიების გამოკვლევა, ასევე რუსული ლიტერატურული ტრადიციისა და დასავლეთ ევროპული ფილოსოფიური აზრის ურთიერთობების თავისებურებების დაადგენა. რუსული ემიგრაციის კულტურული გავლენის მნიშვნელობას ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის რუსული ემიგრაციის კულტურამ ევროპულ კულტურულ სივრცეში შეიტანა იმ სიმძლავრის „ტალღა“, რომელმაც დასავლური კულტურის არაერთ პროცესზე გავლენა მოახდინა (Мерелишвили, 2005).

ემიგრანტული მხატვრული ცნობიერების ესთეტიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ალექსეი რემიზოვს. მის შემოქმედებაში XIX საუკუნის ლიტერატურული ტრადიცია ემიგრანტული გამოცდილების კონტექსტში ახალ სემანტიკურ და სტილისტურ განზომილებას იძენს. პარიზული პერიოდი მწერლისთვის ინტენსიური შემოქმედებითი ძიებისა და მასშტაბური ექსპერიმენტების ეპოქად იქცა.

რემიზოვის პროზისთვის დამახასიათებელია ეროვნული მითოპოეტური ტრადიციისა და მოდერნისტული ესთეტიკის სინთეზი. მისი ნაწარმოებები ეფუძვნება ფოლკლორული კოდების, ქრისტიანული სიმბოლიკის, უძველესი რუსული მითოლოგიისა და ავანგარდული პოეტიკის გადაკვეთის პროცესს. ასეთი მხატვრული სტრატეგია რემიზოვს საშუალებას აძლევს შექმნას გროტესკით, ფანტასტიკური სახეებითა და მითოლოგიური კონსტრუქციებით გაჯერებული სამყარო და ამავე დროს ნარატივის ცენტრში მოაქციოს ადამიანის შინაგანი სამყარო – მისი ეგზისტენციალური შიში, მეტაფიზიკური გაურკვევლობა და პიროვნული რღვევის გამოცდილება. ამ მხატვრული ფორმებით მწერალი გამოხატავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ სულიერ კრიზისს, არამედ ეპოქის ფუნდამენტურ წინააღმდეგობებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ რემიზოვის მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც საოჯახო ლეგენდებმა, ისე მისმა ცხოვრებისეულმა გარემოებებმა, რომლებმაც

„შეუწყო ხელი რეალობის მითოლოგიზაციის აღმოცენებას, იმ დემონური ძალების მუდმივ აღქმას, რომლებიც ადამიანის სულშია მძვინვარე. რემიზოვი თითქოს შეგნებულად ინარჩუნებდა შიშს საიდუმლოების და ამოუცნობობის წინაშე <...>. ერთგვარი „ორმაგი სამყარო“ – ერთი ხილული, ჩვენს თვალწინ არსებული, და მეორე – ფატალური, დაუფარავი, სადაც ზეადამიანური ძალები, ანგელოზები და დემონები მოქმედებენ – რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში მომავალი მწერლის ცნობიერებაში აღიბეჭდა“ (Ремизов, 1990, გვ. 7).

ემიგრაციის გამოცდილება მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: იგი აძლიერებს გაუცხოების, ნოსტალგიისა და დაკარგული იდენტობის ძიების მოტივებს. რემიზოვის მხატვრული სამყარო იქცევა არენად, სადაც წარსული და აწმყო, რეალობა და ფანტაზია, წმინდა და გროტესკული მუდმივ დაძაბულ ურთიერთქმედებაში არიან. ამასთან, მწერალი არ შემოიფარგლება მხოლოდ მითოლოგიური ან რელიგიური ხატების გამეორებით. იგი ახდენს მათ სუბიექტური აღქმის პრიზმით გადაფასებას და სიმბოლიკის, სიზმრის მოტივებისა და ფანტასტიკის ელემენტების გარდაქმნით – ადამიანის არსებობის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ანალიზის იარაღად აქცევს.

რემიზოვის დღიურები განსაკუთრებულად წარმოაჩენენ განდევნილობისა და სულიერი მარტოობის გამოცდილებას: „*მე ვარ დევნილი სიზმარშიც და ფხიზლადაც, და არსად არ მაქვს თავშესაფარი*“, სადაც ასახულია არა მხოლოდ პირადი განცდები, არამედ ის შინაგანი რყევები, რომლებიც ახასიათებს ადამიანს ორ სამყაროს შორის – დაკარგულ სამშობლოსა და უცხო რეალობას შორის.

1927 წელს პარიზში ცალკე გამოცემად გამოვიდა ა. რემიზოვის წიგნი „*აღრეული რუსეთი*“ („*Взвихренная Русь*“), რომელიც „*რემიზოვის მრავალფეროვან შემოქმედებაში ერთ-ერთ ცენტრალურ, ყველაზე ნათელ და მნიშვნელოვან ნამუშევრად ითვლება. თავად რემიზოვიც კარგად აცნობიერებდა, რომ სწორედ ამ წიგნში შეძლო საკუთარი თავისა და სამშობლოს ტკივილის სრულად გამოხატვა*“ (Лавров, 2000, გვ. 544).

ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რუსული ემიგრანტული ლიტერატურის კონტექსტში: მასში მწერალი ქმნის ეროვნული ბედისწერის რთულ მხატვრულ ქრონიკას. რუსეთის ბედიც და რევოლუციის მოვლენებიც „*ადრეულ რუსეთში*“ წარმოჩენილია არა მხოლოდ როგორც ისტორიული, არამედ როგორც სულიერი კატასტროფა, რომელიც ერთდროულად ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებაში აღიქმება.

რემიზოვის რომანი – ქრონიკა გამოირჩევა ფრაგმენტული კომპოზიციით, სადაც ორგანულად ერთიანდება დღიურის ჩანაწერები, მოგონებები, ლეგენდები, მოთხრობები და ლოცვები. ასეთი სტრუქტურა ავტორს საშუალებას აძლევს გააერთიანოს ინდივიდუალური და ისტორიული, პირადი განცდა და საერთო ეროვნული ტრაგედია, რითაც ქმნის მრავალფეროვან ტექსტს, რომელშიც თხრობითი და სულიერი საწყისები ერთმანეთს ირეკლავენ და ავსებენ.

რემიზოვი მნიშვნელოვანწილად იყო ორიენტირებული ავტობიოგრაფიული ნაწარმოებების შექმნაზე, სადაც პირადი გამოცდილება ადამიანური არსებობის უნივერსალურ მოდელად გარდაიქმნება. როგორც აღინიშნება „*რუსული ემიგრაციის ლიტერატურა თითქმის ლიტერატურული პროცესის ცენტრალურ მიმართულებად იქცა. მას თან სდევს სიღრმე და უჩვეულო გულწრფელობა, რომლითაც მან გააშუქა გლობალური თემები, რუსული ლიტერატურის ტრადიციები, აგრეთვე ზნეობრივ-ეთიკური და სულიერ-რელიგიური საკითხები*“ (Табатадзе, 2018, გვ. 490). ამ ლიტერატურისთვის დამახასიათებელია დოკუმენტური და მხატვრული მიდგომის ორგანული შერწყმა: ავტორები ცდილობენ არა მხოლოდ მოვლენათა დაფიქსირებას, არამედ მათ გააზრებასაც მხატვრული განცდის მეშვეობით. „*ცალკეული ეპიზოდების გადმოცემის სიზუსტით მემუარული პროზა ხშირად არ ჩამოუვარდება ისტორიულ დოკუმენტებს*“ (Табатадзе, 2018, გვ. 491).

ავტობიოგრაფიული ქვეტექსტის სემანტიკური სისრულის გაგება რემიზოვის შემოქმედებაში მხოლოდ მისი მთლიანი მემკვიდრეობის თანმიმდევრული გაანალიზების შედეგად არის შესაძლებელი. მწერლისთვის პირადი ჭეშმარიტების გამოხატვას სამყაროსა და ადამიანის შესახებ განსაკუთრებული ფორმა აქვს – ეს არის „*მითი საკუთარ თავზე*“, ლეგენდა. მისი მთელი შემოქმედება ზუსტადაც რომ „*ლეგენდაა საკუთარ თავზე*“, რომელიც მწერალმა მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუპოვრად და ზედმიწევნითი შრომით შექმნა.

თუ მივყვებით ფილოსოფოსის, სერენ კირკეგორის მოძღვრებას, „*ეგზისტენციალური არჩევნის გზით ადამიანი თვალთახედვითი-მგზნობიარე ყოფიერებიდან გადადის უნიკალურ და განუმეორებელ საკუთარ თავთან მიახლოების მდგომარეობაში*“ (Руднев, 1999, გვ. 370). ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ ესწრაფვის რემიზოვი საკუთარი ინდივიდუალობის გააზრებასა და ყოფიერების მხატვრული შემოქმედების გზით უნიკალური ხედვის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, რემიზოვის ენა, მისი კომპოზიციური და სტილისტური ხერხები აყალიბებს უნიკალურ მხატვრულ მეთოდს, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის სულიერი ბუნების სირთულისა და წინააღმდეგობრიობის გადმოცემას ახერხებს, არამედ ასახავს რუსული მოდერნიზმის კულტურული და სულიერი გამოცდილების თავისებურებებს, ისევე როგორც რუსული ემიგრაციის ლიტერატურის სპეციფიკურ მახასიათებლებს.

ლიტერატურათმცოდნეობაში XX საუკუნის პირველი რუსული ემიგრაციის ტალღის პერიოდი დეტალურად არის შესწავლილი „*უფროსი*“ თაობის მწერლების თვალსაზრისით. მათთან შედარებით, იმ „*ახალგაზრდა*“ ავტორების შემოქმედება, რომელნიც ემიგრაციაში ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში მოხვდნენ, და რომელთა მსოფლმხედველობაც საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა, შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბორის პოპლავსკის შემოქმედება. ამ მწერლის ლიტერატურული ბედი შედარებით წარმატებით განვითარდა: მისი მცირე მოცულობის ნაშრომები პარიზში 1920 -ანი წლების ბოლოსა და 1930-იან წლებში გამოიცა, ანუ როგორც ავტორის სიცოცხლის პერიოდში, ასევე მალევე მისი გარდაცვალების შემდეგ.

პოპლავსკის ამ პერიოდის ნაწარმოებები ასახავს ადამიანის სულიერ და ეგზისტენციალურ განცდებს, რომელიც აღმოჩნდა სამშობლოდან მოწყვეტილი. მის ტექსტებში ორგანულადაა შერწყმული სიმბოლიზმი, რაც საშუალებას აძლევს ავტორს შექმნას კონფლიქტებითა და შფოთვებით

სავსე მხატვრული სამყარო. მწერალი ოსტატურად იყენებს ნარატივის ფრაგმენტულობასა და პოეტურ გამოსახულებას, რათა დაგმოსცეს ადამიანის ბუნების წინააღმდეგობრივი მხარეები და სულიერი ორიენტირების კრიზისი, რომელიც ემიგრაციის ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

რუსი ემიგრანტი მწერალთა პროზაში არაერთხელ ჟღერს თემა რუსული ეროვნული ხასიათის შეუთავსებლობისა „ყაღბ“ და „გარყენილ“ ევროპულ ცნობიერებასთან. „ახალგაზრდა“ თაობის მწერლები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ ცხოვრობს და განიცდის რუსი ადამიანი შინაგან კონფლიქტებს უცხო კულტურულ გარემოში.

ემიგრაციის გამოცდილება აძლიერებს გაუცხოების, სულიერი ნოსტალგიისა და დაკარგული იდენტობის ძიების მოტივს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს პოპლავსკის რომანებში „აპოლონ ბეზობრაზოვი“ («Аполлон Безобразов») და „ზეციდან სახლში“ («Домой с небес»). მის ნაწარმოებებში მხატვრული სახეები იქცევა ადამიანის არსებობის ფილოსოფიური გააზრების ინსტრუმენტად, ხოლო ეგზისტენციალური მოტივების შერწყმა მოდერნიზმის ესთეტიკასთან ქმის უნიკალურ ლიტერატურულ ენას, სადაც პერსონაჟთა შინაგანი სამყარო წარმოჩინებულია როგორც მუდმივი დამაბულობის სივრცე წარსულსა და აწმყოში, რეალობასა და წარმოსახვაში, სულიერსა და მიწიერს შორის.

ნ. ბერდიაევა პოპლავსკი დაახასიათა როგორც „ნამდვილი ტანჯული“, ეს აღქმა მისი რთული ბიოგრაფიის შესახებ მუდმივად ისახებოდა მწერლის მიმოხილვებში, რაც იწვევდა განსაკუთრებულ მგრძობელობასა და ინტერესს მისი პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ.

რომანის „აპოლონ ბეზობრაზოვის“ პოეტური სტრუქტურა ყველაზე თვალსაჩინოდ ასახავს 1920-1930-იანი წლების „ახალგაზრდა“ ემიგრანტი მწერლების პროზის მახასიათებლებს. მხატვრული სივრცე, სოციალური თვალსაზრისით გაუჩინარებული ემიგრანტი ავტორებისთვის, იქცევა პიროვნული მთლიანობის შენარჩუნების საშუალებად XX საუკუნის დასაწყისის კულტურული „დაშლის“ პირობებში.

პოპლავსკისთვის, ისევე როგორც სხვა მოდერნისტებისთვის, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალობის გამოსახვა, არამედ საკუთარი თავის გამოხატვა – საკუთარი უნიკალური რეალობის ფიქსირება. მწერალი თავის დღიურში აღნიშნავდა იმის აუცილებლობას, რომ „საბოლოოდ დაემთავრებინა რეალური და აღწერილი ცხოვრების საზიზღარი გაორება“. რომანი „აპოლონ ბეზობრაზოვი“ წარმოადგენს პირადად განცდილი ყოფიერების მხატვრულ ვერსიას, ანუ იმ „რეალობას“, რომლის მეშვეობითაც ავტორმა შეძლო საკუთარი თავის გამოხატვა. მის შემოქმედებაში მკაფიოდ იჩენს თავს ეგზისტენციალიზმის ცენტრალური თემატიკა – „სულიერი კრიზისის პრობლემა, რომელშიც აღმოჩნდება ადამიანი, და ის არჩევანი, რომელსაც ის აკეთებს ამ კრიზისიდან გამოსასვლელად“ (Руднев, 1999, გვ. 371).

ემიგრანტი მწერლის ცნობიერებაში მუდმივად მიმდინარეობდა დამაბული თვითიდენტიფიკაციის პროცესი „უცხო“ ქვეყანაში; იგი მკაფიოდ გრძნობდა იმ „საზღვარს“, რომელიც აღძრავდა იზოლაციასა და გაუცხოებას. პოპლავსკი ესწრაფვოდა შეექმნა ჰერმეტიულად დახურული მხატვრული რეალობა, აგებული ავტოკომუნიკაციურ მოდელზე, რომელშიც პერსონაჟები კონცენტრირდებიან საკუთარ სუბიექტურ განცდებზე, ხოლო ავტორის ცნობიერება იშლება პერსონაჟის ცნობიერებაში.

რომანში „აპოლონ ბეზობრაზოვი“ იგრძნობა მწერლის ცხოვრების სრული სიმწარე: „ჩემი სუსტი სული ეძებდა დაცვას. იგი ეძებდა კლდეს, რომლის ჩრდილშიც შესაძლებელი იქნებოდა მზიან, მტვრიან და უიმედო სამყაროზე თვალის გადავლება“ (Поплавский, 2000, გვ. 222). მითოლოგიზირებული აპოლონ ბეზობრაზოვის პირით ვლინდება ემიგრანტული სილატაკის შემზარავი რეალობა, რომელშიც მთავარი გმირი ირონიულად ცდილობს იპოვოს ესთეტიკური სილამაზე: „განა არ არის მომხიბვლელი, – ამბობდა აპოლონ ბეზობრაზოვი, – ყველა ეს დაკუჭული და გამოხუნებული ემიგრანტული ქუდი, <...> და ის მორიდებული ვარდისფერი ნახვრეტები, რომლებიც ხან ჩნდება, ხან ქრება გაცვეთილი ფეხსაცმლის პირას (აქილევსის ქუსლი), და ხელთათმანების არქონა, და ჰალსტუხების ნაზი ცხიმოვანობა“ (Поплавский, 2000, გვ. 222).

პოპლავსკის შემოქმედებაში იკვეთება ეგზისტენციალიზმის ცენტრალური პრობლემატიკა – სულიერი კრიზისის თემა. ამ კრიზისის ნიშნებად გვევლინება ისეთი მდგომარეობები, როგორცაა შიში, „ეგზისტენციალური შფოთვა“ და მოწყენილობა. მწერლისთვის მხატვრული სივრცე იქცევა თვითშემეცნებისა და თვითიდენტიფიკაციის პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციის ასპარეზად. ავტორი რწმენით უყურებს თავისი გმირების სულიერ და მორალურ აღორძინებას.

რომანის „აპოლონ ბეზობრაზოვის“ გმირს აკლია თუნდაც უმცირესი აშბიცია: სამშობლოდან შორს მყოფი, იგი მხოლოდ ერთი ოცნებით იკვებება – დაბრუნდეს სამშობლოში: „და მერე ყველას დავტოვებთ, რუსეთში წავალთ... ჩავიცვამთ ძონძებს... კარგია <...> ძონძეჩაცმულთა შორის... აჰ, რუსეთო, რუსეთო... ზეციდან სახლში...“ (Поплавский, 2000, გვ. 107).

ერთ-ერთი პერსონაჟის აზრით, ადამიანს „მემკვიდრეობით ხვდა ორი ჯოჯოხეთი: მორალური ჯოჯოხეთი, რომელიც თითოეულს გულში ჭაბუკობიდან მოაქვს, და ცეცხლოვანი ჯოჯოხეთი <...>“ (Поплавский, 2000, გვ. 157).

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ პოპლავსკის სივრცის მითოლოგიურ მოდელსაც, რომელიც „მოწყობილია ორი სფეროს პრინციპით: „ქვესკნელის“ (პარიზის, განსაკუთრებით მონპარნასის სივრცე) და „ზეციურის“ (რუსეთის სივრცე). რუსეთი წარმოდგენილია როგორც სამოთხე, რომლისკენაც გზა, „შებრუნებული“ ლოგიკის შესაბამისად, ჯოჯოხეთიდან გადის. მიუწვდომელი ედემის ძიება ავტორის ფანტაზიებში რჩება“ (Табатадзе, 2013, გვ. 450).

ტრადიციული რუსი ლიტერატურული განდევნილი წარმოჩინებულია როგორც დაწყევლილი, ხეტიალისთვის განწირული „უცხოთა უდაბნოებს შორის“, თუმცა განდევნილობა ამავე დროს ნიშნავს გამორჩეულობას: იგი აღიქმება როგორც განთავისუფლების ფორმა, რომელიც ადამიანს შინაგანი თავისუფლების მოპოვების საშუალებას აძლევს.

ემიგრანტული გამოცდილება აძლიერებს გაუცხოების და სულიერი ძიების მოტივს, მისი ნაწარმოებები კი იქცევა სივრცედ, სადაც წარსული, აწმყო და წარმოსახვა მუდმივ ურთიერთქმედებასა და დამაბულობაში იმყოფება. გაიტო გაზდანოვის შემოქმედების მთავარი მხატვრული ამოცანაა – ფსიქოლოგიური სირთულითა და ფილოსოფიური მსჯელობით, ადამიანის ცხოვრების ეგზისტენციური განზომილება წარმოაჩინოს მისი მრავალმნიშვნელოვნებითა და წინააღმდეგობრიობით. სწორედ ეს ხდის მის ნაწარმოებებს რუსული ემიგრაციისა და XX საუკუნის მოდერნისტული პროზის გაგების ცენტრალურ ტექსტებად.

გაიტო გაზდანოვი რუსული ემიგრაციის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია, რომლის შემოქმედებაც აერთიანებს ფილოსოფიურ სიდრმეს, ფსიქოლოგიურ ანალიზსა და მოდერნისტული პროზის ესთეტიკურ ექსპერიმენტებს. მისი ნაწარმოებები, როგორცაა „საღამო კლერთან“ („Вечер у Клэр“) და „ალექსანდრ ვოლფის აჩრდილი“ („Призрак Александра Вольфа“), იკვლევს ეგზისტენციალურ საკითხებს, პიროვნების შინაგან წინააღმდეგობებს, მეხსიერების ფენომენსა და სამშობლოს დაკარგვის განცდას. გაზდანოვი ოსტატურად იყენებს სუბიექტურ პერსპექტივას, რთულ კომპოზიციურ ხერხებსა და სიმბოლურ მოტივებს, რითაც ქმნის ესთეტიკურ სამყაროს, სადაც პერსონაჟების შინაგანი ცნობიერება განსაზღვრავს აშბის დინამიკას.

ორივე მწერლის (გაზდანოვისა და პოპლავსკის) რომანებს შორის შეიმჩნევა სიუჟეტური ანალოგია. მოცემულ ნაწარმოებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გზის ქრონოტოპი. რომანში „ალექსანდრ ვოლფის აჩრდილი“ მთავარი ეპიზოდი სწორედ გზაზე ხდება – აქ ხდება მთხრობელის პირველი შეხვედრა ვოლფთან. გაზდანოვის გმირები მუდმივად მოძრაობენ – „ცარიელი, მოხვეული გზით“, „მარტო ქუჩებში“, „ღამის ცარიელ გზებზე“ ბრუნდებიან შინ (Газданов, 2008, გვ. 71).

გარდა ამისა, გ. გაზდანოვის და ბ. პოპლავსკის რომანების გმირები მიჰყვებიან მ. ლერმონტოვის ტრადიციას არა მხოლოდ რომანის კომპოზიციურ ჭრილში, არამედ საკუთარ პერსონაჟებში უსვამნე ხაზს იმ ნიშნებს, რომელნიც მათ „პეჩორინთან აკავშირებს (სკეპსისი, ტანჯვის სიდრმე, შემოქმედთან სულიერი ბრძოლები სამყაროს არასრულყოფილებაზე, ღრმა სასოწარკვეთილება, მარტოობა“ (Мегრელიშვილი, 2012, გვ. 98).

გაზდანოვი აერთიანებს რუსული ფსიქოლოგიური პროზის ტრადიციებს ევროპული ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურ ძიებებთან. მისი პერსონაჟები არსებობის აბსურდს ეჯახებიან.

რომანში ვხვდებით დიალოგს, რომელიც ამ ფილოსოფიას გამოხატავს: „*თქვენ ფიქრობთ, რომ ყოფიერების აზრი ამ სასიკვდილო ფატალიზმამდე დადის?*“ – „*ეს ფატალიზმი არ არის, ეს ცხოვრების მიმართულეობაა, მოძრაობის აზრი. უფრო სწორად, არა აზრი, არამედ მნიშვნელობა. მრავალი წლის წინ მე ჩემს სიკვდილს შევხვდი... მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევითობით, მან მე გამატარა.*“ (Газданов, 2008, გვ. 77).

ბორის პოპლავსკის მსგავსად, გაზდანოვის პროზაშიც ჟღერს აპოკალიფსური მოტივები. პოპლავსკის რომანში „*აპოლონ ბეზობრაზოვი*“ მოხსენიებულია აპოკალიფსის მხედარი, რომლის მოლოდინშიც არიან გმირები, თუმცა ვერასდროს ხვდებიან: „*ცოტა ხანში მას გადაუარა ფაეტონმა, რომელიც აპოკალიფსის მხედრად მიიჩნია*“ (Поплавский, 2000, გვ. 158).

გაზდანოვი ამ მოტივს საკუთარ სტილში განავრცობს. მისი რომანი იწყება „*აპოკალიფსური ცხენის*“ სიმბოლური აღწერით: „*საუკეთესო ცხენი, რომელიც ოდესმე მყავდა, იყო თეთრი ფერის დიდი ზომის კენტი, განსაკუთრებული გრაციით. ის იმდენად კარგი იყო, რომ მსურდა მისი შედარება იმ ცხენებთან, რომელთა შესახებაც აპოკალიფსშია ნათქვამი... სწორედ ამ ცხენზე ვმოძრაობდი ჩემი საკუთარი სიკვდილისკენ...*“ (Газданов, 2008, გვ. 72).

გაზდანოვის რომანი მთლიანად გამსჭვალულია „*სიკვდილის მოტივით*“, მასზე ფიქრით. „*ჩემი გვაში <...> ისრით განგმირული წევს*“; „*შეუძლია კი ადამიანს თვითნებურად განკარგოს საკუთარი სიცოცხლე, თუ თითოეულ მათგანს თავისი საბედისწერო წუთი აქვს ...*“ ავტორი სიკვდილის მაგალითებს იშველიებს, ხდება სიკვდილზე მიზიდულობის თავისებური აღწერა – „*სიკვდილი მათ ბედნიერებს პოულობს*“ (Газданов, 2008, გვ. 82).

ამრიგად, როგორც გაზდანოვის, ისე პოპლავსკის შემოქმედებაში გზის გამოსახულება გარდაიქმნება შინაგანი მოგზაურობის, სულიერი გამოცდისა და ადამიანის არსებობის აზრის ძიების სიმბოლოდ იმ სამყაროში, სადაც ბედი და შემთხვევა, სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვულები არიან. ემიგრანტი მწერლების ფსიქოლოგიური თავისებურებები განპირობებულია „*უცხო*“ კულტურულ სივრცეში ყოფნით, სადაც „*მომთაბარე*“ ხშირად გარიყული რჩება. ეს ავტორები, საკუთარ სოციალურ და კულტურულ ფესვებს მოწყვეტილნი, მიმართავენ შინაგან სამყაროს, როგორც ერთადერთ მდგრად ყოფით სივრცეს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მათ შემოქმედების ეგზისტენციალურ ხასიათს.

ემიგრანტულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო გააძლიერა გაუცხოებისა და სულიერი ნოსტალგიის მოტივი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა პოპლავსკისა და გაზდანოვის შემოქმედებაში. „*უმცროსი*“ თაობის ემიგრანტებისთვის საზღვარი სამშობლოსა და უცხო კულტურას შორის განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა. ემიგრანტი აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მ. ჰაიდეგერმა განსაზღვრა როგორც „*ყოფნა-სამყაროში*“ (*Dasein-in-der-Welt*) – არსებობა. იგი სტაბილურ ცენტრსაა მოკლებული, სადაც ადამიანი საკუთარ თავს გრძნობს „*მიგდებულად*“ უცხო რეალობაში. მათი გმირები საკუთარ არსებობას განიცდიან როგორც „*მსოფლიოში მიგდებულობის*“ მდგომარეობას, სადაც მდგრადი საყრდენის დაკარგვა შინაგანი აზრისა და თვითიდენტიფიკაციის ძიების დასაწყისად იქცევა. თვით ალექსეი რემიზოვის სიცოცხლეს მორევად მიიჩნევდა, სადაც ადამიანი მხოლოდ „*სიბნელეში*“ ნასროლი ჩხირია“.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეგზისტენციალური დისკურსი კომპლექსურად განიხილება რუსული ემიგრაციის სამი საკვანძო მწერლის – პოპლავსკის, გაზდანოვისა და რემიზოვის შემოქმედებაზე დაყრდნობით, რაც იძლევა საშუალებას ვისაუბროთ „*ეგზისტენციალური განზომილების*“ მთლიან მოდელზე რუსული ლიტერატურის ფარგლებს გარეთ.

ამ ავტორთა ნაწარმოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ 1920–1930-იანი წლების რუსული ემიგრაციის ეგზისტენციალური დისკურსი ყალიბდება როგორც ევროპული ფილოსოფიისა და რუსული სულიერი ტრადიციის სინთეზი. თითოეული მათგანი თავიანთი გზით აცნობიერებს ყოფიერებას: ტრაგიკული თავისუფლება – პოპლავსკისთან, აბსურდი და ბედი – გაზდანოვთან, ქაოსის მითოლოგიზაცია – რემიზოვთან. ემიგრანტული ლიტერატურა ასრულებს არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ფილოსოფიურ ფუნქციას – განიხილავს განდევნის გამოცდილებას როგორც

ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ამავედროულად, მათი შემოქმედება ქმნის უნიკალურ მოდელს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „რუსული ეგზისტენციალიზმი“.

ამრიგად, ამ მწერლების შემოქმედება ასახავს რუსული ემიგრაციის ეგზისტენციალური გამოცდილების სიღრმეს, რომელიც ვლინდება გაუცხოებაში, ნოსტალგიასა და დაკარგული იდენტობის ძიებაში. მათი ლიტერატურული სამყაროები შეიძლება აიხსნას ჰაიდეგერის ფილოსოფიური კონცეფციის მეშვეობით: „ადამიანი მიტოვებულია სამყაროში, და მისი ყოფიერება სამყაროში ყოფნას წარმოადგენს“ (Хайдеггер, 1997, გვ. 52). „მიტოვების“ შეგრძნება ხდება მათი ესთეტიკური გამოცდილების საფუძველი, რომელიც ქმნის პერსონაჟთა შინაგან დაძაბულობას და განსაზღვრავს მათ უნიკალურ პოეტიკას. ამ ავტორთა გმირები საკუთარ ყოფნას განიცდიან როგორც „ყოფიერებას სამყაროში“, სადაც გაუცხოება და სულიერი შფოთი მოქმედების მთავარი კომპოზიციურ ელემენტად რჩება, რაც საბოლოოდ აყალიბებს რუსული ემიგრანტული ეგზისტენციალიზმის თავისებურ მოდელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Газданов Г. (2008). Призрак Александра Вольфа. Роман-газета. 12.
- Лавров А. (2000). „Взвихренная Русь“ Алексея Ремизова: символистский роман-коллаж. // Ремизов А. «Взвихренная Русь». Собрание сочинений. Москва: „Русская книга“.
- Мегрелишвили Т. (2005). Поэтика мемуаров русского зарубежья (1925-1960). Тбилиси: „Мерани“.
- Мегрелишвили Т. (2012). Реализм в историко-литературном ряду русской культуры: движение в рамках парадигмы модерности. „სჯანი“, 13, 87-110. Tbilisi: Institute of literature press.
- Поплавский Б. (2000). Аполлон Безобразов. Домой с небес. Романы. Москва: „Согласие“.
- Ремизов А. (1990). В розовом блеске: автобиографическое повествование. Москва: «Современник».
- Руднев В. (1997). Словарь культуры XX века. Москва: „Аграф“.
- Табатадзе Х. (2013). Мифологические модели прозы Ф. Сологуба и их литературная преемственность в творчестве Б. Поплавского. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის «ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები» მასალები. ქუთაისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Табатадзе Х. (2018). Экзистенциальная проблематика как основной нарративный фактор мемуарной литературы. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა და XX საუკუნის მწერლობა“, მასალები. ტომი 2. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Хайдеггер М. (1997). Бытие и время. Москва: „Ad Marginem“.

References:

- Gazdanov, G. (2008). Prizrak Aleksandra Vol'fa. [The Ghost of Alexander Wolf]. Roman-gazeta, 12.
- Heidegger, M. (1997). *Bytie i vremya* [Being and Time]. Moscow: “Ad Marginem”.
- Lavrov, A. (2000). “Vzvikhrennaya Rus” Alekseya Remizova: Simvolistskiy roman-kollazh [Remizov's Whirlwinded Rus': A Symbolist Collage Novel]. Remizov A., “Vzvikhrennaya Rus” (Collected works). Moscow: “Russkaya kniga”
- Megrelishvili, T. (2005). Poetika memuarov russkogo zarubezh'ya (1925–1960) [The Poetics of Russian Émigré Memoirs (1925-1960)]. Tbilisi: “Merani”.
- Megrelishvili, T. (2012). *Realizm v istoriko-literaturnom riadu russkoi kul'tury: dvizhenie v ramkakh paradigmy modernosti* [Realism in a Historical-Literary Row of Russian Culture: Movement Within a Modernity Paradigm]. Sjani, 13, 87-110. Tbilisi: Institute of Literature Press.
- Poplavsky, B. (2000). Apollon Bezobrazov. Domoy s nebes [Apollon Bezobrazov. Home from the Heavens]. Moscow: “Soglasie”.
- Remizov, A. (1990). V rozovom bleske: Avtobiograficheskoe povestvovanie [In the Pink Shine: An Autobiographical Narrative]. Moscow: “Sovremennik”.
- Rudnev, V. (1999). Slovar' kultury XX veka [Dictionary of 20th-Century Culture]. Moscow: “Agraf”.
- Tabatadze, Kh. (2013). Mifologicheskie modeli prozy F. Sologuba i ikh literaturnaya preemstvennost' v tvorchestve B. Poplavskogo. [Mythological Models of F. Sologub's Prose and Their Literary Continuity in the Work of B. Poplavsky]. Kutaisi: Kutaisi University Publishing House.
- Tabatadze, Kh. (2018). Ekzistsentsial'naya problematika kak osnovnoy narrativnyy faktor memuarnoy literatury [Existential Issues as the Main Narrative Factor in Memoir Literature] Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.